filia die frauenstiftung.

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

We Research

სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებზე საქართველოში

(მეორე ფაზა)

სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებზე საქართველოში

(მეორე ფაზა)

თბილისი

2019

წინასიტყვაობა

წინამდებარე კვლევა განხორციელდა „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს პროექტის «ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა» ფარგლებში, ორგანიზაცია We Research-ის მიერ, გერმანული ქალთა ფონდის filia.die frauenstiftung ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში მონაწილეობისა და დათმობილი დროისათვის კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის დისკუსიების მონაწილეებსა და ინტერვიუების რესპონდენტებს. განსაკუთრებული მადლობა გვსურს, გადავუხადოთ „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს თანამშრომლებს; ასევე, ექსპერტებს - მაია ბარქაიას და თამარ ანთიძეს - კვლევის ჩატარებაში შეტანილი წვლილისათვის.

წინამდებარე კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები, შესაძლოა, „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს პოზიციას არ გამოხატავდეს.

შინაარსი

სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებზე საქართველოში.....1

ძირითადი შედეგები.....7

შესავალი.....9

კვლევის მეთოდოლოგია.....11

კვლევის შეზღუდვები.....13

კვლევის ძირითადი შედეგები.....14

1. გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მისი განხორციელების შეფასება.....14

1.1 გარემოსდაცვითი პოლიტიკა.....14

1.2 გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელება.....15

1.3 გარემოს საკითხების ინტეგრაცია გენდერულ პროექტებში.....20

1.4 საერთაშორისო დონორების გავლენა გარემოსდაცვით პროგრამებში გენდერულ მეინსტრიმინგზე.....21

1.5 თანამშრომლობა.....23

2. ბუნებრივი კატასტროფების გავლენა ქალებსა და კაცებზე და თემის ჩართულობა გარემოსდაცვით საკითხებზე.....27

2.1 გარემოში მიმდინარე ცვლილებების გავლენა ქალების ყოველდღიურ საქმიანობაზე.....27

2.2 გარემოში მიმდინარე ცვლილებების გავლენა მოწყვლად ჯგუფებზე.....30

2.3 ქალების ჩართულობა გარემოცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....32

2.4 ინფორმირებულობა გარემოსდაცვით საკითხებზე.....34

2.5 ქალებისა და კაცების როლი გარემოს დაცვაში.....35

დასკვნები და რეკომენდაციები.....39

დანართები.....40

ძირითადი შედეგები

- გარემოსდაცვითი და გენდერული თანასწორობის საკითხების თანაკვეთა ახალი სფეროა როგორც გარემოსდაცვაზე, ასევე გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე აქტორებისათვის. ჩართული მხარეების უმეტესობისთვის საქმიანობაში მისი განხორციელება რთულია. ინფორმაციის, გამოცდილებისა რესურსების ნაკლებობა მნიშვნელოვანი ბარიერია გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე აქტორებისათვის თავიანთ საქმიანობაში გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად. გარდა ამისა, კონკრეტული სამოქმედო გეგმების არარსებობა და ჯერაც გავრცელებული გენდერულად ნეიტრალური, გენდერულად სტერეოტიპული დამოკიდებულებები, ასევე, სირთულეს წარმოადგენს.

- საერთაშორისო მოთხოვნების გავლენა, არასამთავრობო სექტორთან შედარებით, სახელმწიფო სექტორში უფრო საგრძნობია. დონორი ორგანიზაციების მიერ გაწერილი ზოგადი პოლიტიკის ქმედებაში განხორციელება ჩართულ მხარეებს უჭირთ.

- გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავეთა შორის არსებულ თანამშრომლობას ჩართული მხარეები პოზიტიურად აფასებენ. თუმცა, კავშირი გარემოს დაცვის და გენდერის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს შორის სუსტია.

- საქართველოში გაბატონებული დისკურსის მიხედვით შინ შრომა ქალის მოვალეობად ითვლება. საოჯახო სივრცეს მიჯაჭვულობა კი ქალებს მოწყვლადს ხდის კლიმატის ცვლილებითა და ბუნებ-

რივი კატასტროფებით გამოწვეული ნეგატიური გავლენების მიმართ. შედეგების მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალები აცნობიერებენ გარემოში მიმდინარე პროცესების ნეგატიურ გავლენას მათ ყოველდღიურობაზე, ისინი ამას ნორმად აღიქვამენ და, როგორც წესი, ამ საკითხების მუნიციპალურ დონეზე ადვოკატირებასა და წინ წამოწევას არ ცდილობენ.

- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მიხედვით, გარემოში მიმდინარე ცვლილებების მიმართ მოწყვლადობას ტერიტორიული მიკუთვნებულობა, ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური კავშირები განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ კაცებთან შედარებით დაბალი ანაზღაურება და ნაკლები ეკონომიკური ჩართულობა, გარემო ცვლილებების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის ქალებს, თუმცა ეკონომიკურ მოწყვლადობას გენდერულ ჭრილში რესპონდენტები არ განიხილავენ.

- ჩართული მხარეების მიხედვით, თემის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობა, კაცებთან შედარებით, დაბალია, მაგრამ თემის წევრებში იკვეთება „აქტიური ქალების“ ჯგუფი, რომლებიც თავიანთ პოზიციას მუნიციპალურ დონეზე ლობირებენ.

შესავალი

ქალთა ფონდმა საქართველოში პროექტის „გლობალური ალიანსი მწვანე და გენდერული ქმედებისათვის“ (GAGGA) ფარგლებში განახორციელა კვლევა “სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებზე საქართველოში”, ხოლო გერმანული ქალთა ფონდის filia.die frauenstiftung მხარდაჭერით ახორციელებს კვლევის მეორე ფაზას”. 2017 წელს კვლევის პირველი ეტაპი - დოკუმენტების ანალიზი - განხორციელდა. სამაგიდე კვლევა მოიცავდა გარემოსდაცვითი სამართლიანობასა და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პოლიტიკის საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტების ანალიზს და, ასევე, ამ საკითხების მომცველი არსებული პროექტებისა და ინიციატივების მიმოხილვას.

გარემოსდაცვითი სამართლიანობა გულისხმობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის შედეგების თანაბარ და სამართლიან გადანაწილებას მოსახლეობას შორის ისევე, როგორც გარემოსდაცვით ინფორმაციაზე თანაბარ წვდომასა და ჩართულობის შესაძლებლობას[1]. წარსულში გარემოსდაცვითი სამართლიანობის მოძრაობა ძირითადად რასობრივი და კლასობრივი ბრძოლის გარშემო ერთიანდებოდა, თუმცა დღეს უკვე ითვლება, რომ გარემოსდაცვითი სამართლიანობის მიღწევა შეუძლებელია გარემოსდაცვითი საკითხების გენდერული ანალიზის გარეშე. გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემები (მაგ. კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი თუ ანთროპოგენული ცვლილებები, ჰაერის, მიწის და წყლის დაბინძურება და ა.შ) განსხვავებულად აისახება ქალებზე და მისი შერბილებისთვის საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში გარემოსდაცვითი სამართლიანობის შესახებ პირველი ჩანაწერები, სადაც ქალები ცალკე ჯგუფადაა მოხსენიებული, 90-იან წლებში გამოჩნდა.

საქართველოში, სამაგიდო კვლევის შედეგების მიხედვით, გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და გენდერული საკითხების ურთიერთმიმართება პოლიტიკის დონეზე თითქმის არ არის

[1] *Dankelman, I. (2010). Gender and Climate Change. An Introduction.*

წარმოდგენილი. დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ პოლიტიკის დოკუმენტები, როგორიც არის კონსტიტუცია, კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ და სხვა საკონონმდებლო აქტები და სტრატეგიული დოკუმენტები გენდერულად ნეიტრალურია და ქალთა გაძლიერების თემებზე სპეციფიკურად არ საუბრობს. ანალოგიურად, ქალთა და გენდერულ საკითხებზე არსებული პოლიტიკის დოკუმენტები არც გარემოსდაცვით საკითხებს მოიცავს.

რაც შეეხება პროექტებს, რომლებიც გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებს ფარავს, მათი რაოდენობა ძალიან მცირეა და, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის მიერ არის განხორციელებული.

იმისათვის, რომ კვლევის შედეგები ჩართული მხარეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის პერსპექტივით გამდიდრებულიყო, კვლევის მეორე ეტაპი - თვისებრივი კვლევა - ჩატარდა.

კვლევის მიზანს გარემოს ბუნებრივი და ანთროპოგენული ცვლილებების ქალებზე ზეგავლენის გაანალიზება და ამ გავლენის შედეგების პოლიტიკაში ინტეგრირების შეფასება წარმოადგენდა. უფრო კონკრეტულად კი, კვლევის ფარგლებში, შემდეგი ამოცანები გამოიყო:

- გარემოსდაცვითი და გენდერული თანასწორობის საკითხების თანაკვეთის პრიორიტეტულობის შეფასება ჩართული მხარეების მხრიდან;
- გარემოსა და გენდერის საკითხებზე მომუშავე სტრუქტურებს (სამთავრობო/არასამთავრობო) შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეფასება;
- ქალების/კაცების ყოველდღიურობაზე ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ცვლილებების გავლენის გაანალიზება;
- ქალებისა და კაცების ინფორმირებულობის გამოვლენა ბუნებრივი კატასტროფების თავიდან არიდებისა და მათთან გამკლავების შესახებ;
- ქალებისა და კაცების როლის გამოვლენა გარემოსდაცვით აქტივობებში;
- ქალების ჩართულობის გაანალიზება გარემოსდაცვის მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებებში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: ჩატარდა ფოკუს ჯგუფები და პირისპირ ინტერვიუები ჩართულ მხარეებთან და თემის წარმომადგენლებთან; საველე სამუშაოები - სამ მუნიციპალიტეტში: დედოფლისწყარო (კახეთი), ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) და ქედა (აჭარა). ინფორმაციის ცენტრალურ დონეზე მოპოვების მიზნით, ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები, ასევე, ჩატარდა თბილისშიც.

კვლევას ორი ძირითადი სამიზნე ჯგუფი ჰყავდა - გარემოს საკითხებზე მომუშავე ჩართული მხარეები და ადგილობრივი მოსახლეობა. იმისათვის, რომ მასში გენდერის საკითხებზე მომუშავე აქტორების პერსპექტივაც ყოფილიყო წარმოდგენილი, შეხვედრები გენდერულ თანასწორობაზე ან ქალთა გაძლიერებაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან და ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთანაც ჩატარდა.

ინტერვიუები შედგა: ა) სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან - ცენტრალური პოლიტიკის დონეზე (6 პირისპირი და 2 ჯგუფური ინტერვიუ) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე (4 ინტერვიუ); ბ) საერთაშორისო და/ან დონორ ორგანიზაციებთან (4 ინტერვიუ), ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან (4 ინტერვიუ). სულ 20 ინტერვიუ ჩატარდა.

კვლევის დასაწყისში დაგეგმილი იყო ფოკუს ჯგუფები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სამ მუნიციპალიტეტში, თუმცა, ფოკუს ჯგუფები მხოლოდ დედოფლისწყაროსა და ბორჯომში ჩატარდა. ქედაში კი, მონაწილეთა უკმარისობის გამო, პირისპირი ინტერვიუ შედგა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

გარდა ამისა, ჩატარდა 6 ფოკუს ჯგუფი ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან. რამდენადაც კვლევა გარემოში მიმდინარე ცვლილებების თემზე გავლენის ანალიზს ითვალისწინებდა გენდერულ ჭრილში, ფოკუს ჯგუფები ცალ-ცალკე შედგა ქალებთან და კაცებთან. შესაბამისად, თითოეულ ლოკაციაზე ორი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა. კვლევის შედეგების

მეტი ობიექტურობისათვის, ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა მოსახლეობა როგორც ადმინისტრაციული ცენტრიდან, ისე - მიმდებარე სოფლებიდან.

ცხრილში მოცემულია საველე სამუშაოების დროს ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების რაოდენობები და მათი განაწილება სამიზნე ჯგუფებისა და ადგილების მიხედვით:

რესპონდენტები ან სამიზნე ჯგუფი	მეთოდი	რაოდენობა	ადგილი
სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელები	ინტერვიუ	8	თბილისი
ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები	ინტერვიუ	4	კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა
საერთაშორისო და/ან დონორი ორგანიზაციები	ინტერვიუ	4	თბილისი
არასამთავრობო ორგანიზაციები (ცენტრალური დონე)	ინტერვიუ	4	თბილისი
არასამთავრობო ორგანიზაციები (ადგილობრივი დონე)	ინტერვიუ ფოკუს-ჯგუფი	1 2	კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა
ადგილობრივი მოსახლეობა	ფოკუს ჯგუფი	6	კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა

საველე სამუშაობის დროს შეიქმნა თითოეული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის დისკუსიის აუდიო ჩანაწერი, რომლებიც შემდგომ ეტაპზე ტრანსკრიპტების სახით გაიშიფრა და გაანალიზდა.

კვლევის შეზღუდვები

აღნიშნული კვლევა გარემოს დაცვის საკითხებს ზოგადად მიმოიხილავს და არ ხდება გარემოს დაცვის სხვადასხვა, სპეციფიკური მიმართულების მიხედვით შედეგების გაანალიზება.

კვლევის ფარგლებში საკითხის შესწავლა, ძირითადად, გარემოს საკითხებზე მომუშავე მხარეების პერსპექტივიდან მოხდა. შესაბამისად, გენდერის საკითხებზე მომუშავე სტრუქტურების/ორგანიზაციების ხედვა ანგარიშში ნაკლებად არის წარმოდგენილი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს პროექტის ლოკაციაზე მცხოვრები აქტიური მოქალაქეები შეადგენდნენ. რიგ შემთხვევაში, მათ საკუთარ თავზე არ ჰქონდათ გამოცდილი ის ბუნებრივი კატასტროფები, რომლებსაც შეხვედრის დროს განვიხილავდით. შესაბამისად, კვლევაში წარმოდგენილია მათი შეხედულებები და არა გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევა გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და გენდერული თანასწორობის თანაკვეთის კვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, ამიტომ მიღებული შედეგები, შედარებით, ზოგად სურათს გვიხატავს. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით კი, სამომავლოდ, უფრო ვიწრო მიზნის მქონე კვლევების დაგეგმვა და განხორციელებაა შესაძლებელი, რომლებიც ერთ რომელიმე საკითხზე იქნება ფოკუსირებული, მაგალითად, გარემოსდაცვით სამართლიანობაში კულტურული ფაქტორების გამოვლენაზე და სხვ.

კვლევის ძირითადი შედეგები

1. გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მისი განხორციელების შეფასება

წინამდებარე ქვეთავში მოცემულია გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების პერსპექტივები გარემოსდაცვითი და გენდერული პოლიტიკის შესახებ. აგრეთვე მიმოხილულია, თუ რა ბარიერები ექმნებათ ჩართულ მხარეებს არსებული პოლიტიკის გატარებისას, როგორია დონორი ორგანიზაციების გავლენა და უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა.

1.1 გარემოსდაცვითი პოლიტიკა

სამაგიდე კვლევის შედეგების მიხედვით, გარემოსდაცვით და გენდერულ საკითხებს შორის სუსტი კავშირის მიუხედავად, ნელ-ნელა ხდება ამ ორი თემის ურთიერთმიმართების წინ წამოწევა. თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, როგორც ცენტრალურ, ისე - ადგილობრივ დონეზე, აღნიშნავენ, რომ გენდერისა და გარემოს საკითხების კვეთის პოლიტიკის დონეზე დარეგულირება მნიშვნელოვანია და აუცილებელი, თუმცა, ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებს, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციები დგამენ და ცდილობენ გარემოსდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტების გენდერული სენსიტიურობის გაზრდას:

> „ვცდილობთ, რომ ყველა გარემოსდაცვითი დოკუმენტი, რომელიც მუშავდება, გენდერულად იყოს მგრძნობიარე. ჩვენ თვითონ შევეცადეთ, რომ ეს საკითხები შეგვეტანა ამ დოკუმენტებში და ამ საკითხებს ეხლა ნახავთ, ეროვნულ სატყეო კონცეფციაში, ბიომრავალფეროვნების

სტრატეგიაში, სატყეო სტრატეგიის პროექტში, სხვადასხვა დოკუმენტებში...“ (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგიდე კვლევის მიხედვით, ყველა დოკუმენტი, რომელშიც გენდერული საკითხების ხაზგასმა ხდება, ცენტრალურ დონეზე შექმნილი დოკუმენტებია. **მუნიციპალურ დონეზე კი არ შემუშავებულა არც ერთი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც გენდერული და გარემოსდაცვითი საკითხების ურთიერთკვეთაა გამოხატული.**

1.2 გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელება

სირთულეა უკვე არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ქმედებაში გადმოტანა და განხორციელებაც. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ არიან სტრუქტურები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ მიმართულებით წარმატებით ახორციელებენ პროექტებსა და აქტივობებს და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც დაუგროვდათ. რესპონდენტების მეორე ნაწილისთვის კი **გარემოსა და გენდერის ურთიერთკვეთა ნაცნობი საკითხებია, თუმცა, საქმიანობაში ვერ ახორციელებს მას.**

მონაცემების ანალიზის საფუძველზე რამდენიმე ძირითადი ბარიერი იკვეთება, რომელთა გამოც ამ ეტაპზე გარემოს დაცვისა და გენდერის საკითხების ურთიერთკვეთა პრაქტიკაში ვერ ხერხდება:

ეს ბარიერებია:

- ინფორმაციის, გამოცდილებისა და რესურსების ნაკლებობა;
- პოლიტიკის ქმედებაში გადმოტანის სირთულე;
- გენდერულად ნეიტრალური და გენდერულად სტერეოტიპული დამოკიდებულებების არსებობა;

ინფორმაციის, გამოცდილებისა და რესურსების ნაკლებობა მნიშვნელოვან ბარიერად სახელდება, რესპონდენტთა მიერ, გარემოსდაცვით საკითხებში გენდერული თანასწორობის გათვალიწინებისას. სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებიც გარემოს დაცვის თემებზე მუშაობენ, ამბობენ, რომ გარემოს სფეროში გენდერული საკითხები ძალიან ახალი თემაა და ამ მიმართულებით **გამოცდილების დაგროვება ჯერჯერობით ვერ მოხდა.**

> „ჩვენ არა გვაქვს გამოცდილება იმიტომ კი არა, რომ ვიღაცამ რაღაცა არ ისწავლა, იმიტომ, რომ ეს ახალი მიმართულებაა“(სამთავრობო ორგანიზაცია).

რესპონდენტები **ცოდნის სიმცირეზეც** საუბრობენ. ერთი მხრივ, საუბარია უშუალოდ სახელმწიფო პოლიტიკის უფრო სიღრმისეული ცოდნის საჭიროებაზე და ამ პოლიტიკის დოკუმენტებზე მათი ცოდნის ამაღლების აუცილებლობას აღნიშნავენ; მეორე მხრივ, კი - გარემოსდაცვითი და გენდერული თანასწორობის საკითხების ურთიერთმიმართების შესახებ სიღმისეული ინფორმაციის მიწოდებას თვლიან საჭიროდ. ისინი მზად არიან ამ უნარების გაძლიერებისა და ცოდნის გაღრმავებისთვის, სურვილსა და მზაობას გამოხატავენ.

> „ერთი მხრივ არის გაცნობიერებული მნიშვნელობა, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ამ მხრივ ჩვენ თავადაც გვჭირდება რიგი შესაძლებლობების გაძლიერება, რომ უკეთესად იყოს დარეგულირებული ან ასახული უკვე შემდგომ ქმედებებში“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

> „უნდა ხდებოდეს [გენდერი/გარემოს ურთიერთკვეთა], მაგრამ თემა ჩემთვის იმდენად უცხო არის, (...) რომ კონკრეტული ხედვა და მოსაზრება არ გამაჩნია“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

მნიშვნელოვანია, ისიც თუ როგორ ესმით რესპონდენტებს გენდერული მეინსტრიმინგი. სახელმწიფო სტრუქტურის

წარმომადგენლების უმეტესობისთვის გენდერული თანასწორობის გატარება პოლიტიკასა და პროექტებში, ძირითადად, დეპარტამენტში თანამშრომელთა და პროექტებში ჩართული ბენეფიციარების გენდერული ბალანსის დაცვას გულისხმობს.

> „მე ვთვლი, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი მაგ კუთხით [წარმატებულია]. თუნდაც, დასაქმების კუთხით, ქალებთან შეხვედრის კუთხით... ფაქტიურად, ყველა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო იქნება, მერთან არსებული მრჩეველთა საბჭო თუ სხვა, ისე არის დაკომპლექტებული, რომ 60-70% ქალბატონია“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

რესპონდენტების მიხედვით, მნიშვნელოვანი ბარიერია ასევე **ადამიანური რესურსების ნაკლებობაც.** მაგალითად, გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებში არ ჰყავთ კადრი, რომელიც გენდერულ საკითხებზე იმუშავებს; ამ საკითხებზე დაესწრება ტრენინგებს და პროექტებში გენდერულ მეინსტრიმინგზე იქნება პასუხისმგებელი. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი, საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას, ხდება გენდერის საერთაშორისო ან ადგილობრივი ექსპერტის ჩართვა პროექტში, თუმცა ესეც დამატებით რესურსებთან არის დაკავშირებული.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები გარემოს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ გენდერული საკითხების გათვალისწინებას აფერხებს და ამ ორ თემაზე სიღრმისეული მუშაობა ვეღარ ხერხდება.

ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს იმას, რომ პოლიტიკის დონეზე განსაზღვრული საკითხების ქმედებაში გადმოტანა ვერ ხდება, რაც დიდი გამოწვევაა კვლევის რესპონდენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ჩანაწერები გარემოსა და გენდერის ურთიერთკვეთაზე ზოგადია და სამოქმედო გეგმებში არ არის ასახული. ამის გამო, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის როგორც

ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, ბუნდოვანია, თუ როგორ უნდა მოხდეს გარემოს დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხების თანაკვეთა პრაქტიკაში და რა შეიძლება, იყოს კონკრეტული ნაბიჯები.

> „გენდერი და კლიმატი ერთმანეთთან მჭიდროკავშირშია. ძალიან კარგი იქნება, თუ სამოქმედო დოკუმენტში და სამოქმედო პოლიტიკაში იქნება გათვალისწინებული. ესე კი არა, რაღაც ზედაპირულად, არამედ იყოს ძალიან ჩაშლილი და კონკრეტული სამოქმედო გეგმით, თუ რა უნდა ვაკეთოთ ამ მიმართულებით; კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები, სად ვართ და სად უნდა მივიდეთ“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

როგორც უკვე ითქვა, ეს თემები ძალიან ახალია, ამიტომ ინფორმაციისა და გამოცდილების ნაკლებობაა. აქედან გამომდინარე, რესპონდენტებისთვის რთული წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ის კონკრეტული აქტივობები, რომელიც ორივე თემას მოიცავს.

> „აი, ეხლა რა პროექტზეც ვმუშაობთ, ეს არის ბორჯომში ტყის მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვა. აი, ამ საკითხში როგორ უნდა გააკეთო აქცენტი გენდერზე? შესაბამისად, დავწერე პროექტი. თუმცა, აქ, საერთოდ, არ გაგვითვალისწინებია გენდერული საკითხი და ვერც ვხედავ, რა კუთხით შეიძლება, იყოს გათვალისწინებული“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

იმის გათვალისწინებით, რომ თემა ძალიან ახალია და სტრატეგიული ხედვა ჯერ-ჯერობით არ არის, დეტალური სამოქმედო გეგმის არსებობას და პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ ჩართული მხარეებისთვის სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდებას განსაკუთებული მნიშვნელობა აქვს.

გენდერულად ნეიტრალური, ზოგ შემთხვევაში კი, გენდერულად სტერეოტიპული დამოკიდებულებების არსებობა ბარიერების ანალიზისას, ასევე, ხაზგასასმელი ფაქტო-

რებია. ინტერვიუებში გამოჩნდა, რომ რესპონდენტები უმეტესად ვერ ხედავენ გარემოში მიმდინარე ცვლილებების განსხვავებულ გავლენას ქალებსა და კაცებზე და, ძირითადად, **გენდერულად ნეიტრალური შეხედულებები** აქვთ.

> „ჩვენ შეიძლება არ გვაქვს [გენდერული საკითხები] ჩაწერილი და ასახული სტრატეგიულ დოკუმენტში. თუ რაღაც კეთდება, ზოგადი ჩანაწერია მოსახლეობაზე. მაგრამ (...) რაც კეთდება, მოსახლეობისთვის კეთდება... ქალბატონებიც ამ მოსახლეობის ნაწილია, ერთერთი მნიშვნელოვანი და სრულუფლებიანი ნაწილი.“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

გენდერულად ნეიტრალური დამოკიდებულებების გარდა **გენდერული სტერეოტიპებიც** იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები გენდერული საკითხების გათვალისწინების აუცილებლობას ეთანხმებიან, მათ შეხედულებებში ცოდნის ზედაპირულობა იკვეთება. მათთვის კვლავაც აქტუალურია სხვადასხვა სამოქმედო სფეროების ქალთა და მამაკაცთა სფეროებად დანაწილება:

> „უნდა ხდებოდეს [პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერული საკითხების გათვალისწინება], მაგრამ ეხლა რას ვიტყვი იცით? რომ ქალი მაინც არის ქალი. და ქალი არის სუსტი“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

მსგავსი დამოკიდებულებების არსებობა ხელს უშლის გენდერული თემების გატარებას გარემოსდაცვით საკითხებში. რესპონდენტებმა ინფორმაციის დონეზე იციან, რომ ამ ორი სფეროს ურთიერთკვეთა კარგია, მაგრამ ღირებულებით დონეზე ცვლილებები ჯერ არ მომხდარა. აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რესპონდენტებს მიეწოდოთ სიღრმისეული ინფორმაცია გენდერულ მეინსტრიმინგზე, მის მნიშვნელობასა და განხორციელების გზებზე.

სიტუაციას საკუთრივ **საზოგადოებაში გავრცელებული**

სტერეოტიპული წარმოდგენებიც ამძაფრებს. გარემოსთან დაკავშირებული საკითხები ხშირად მამაკაცის სფეროდ მიიჩნევა, რაც მასში ქალების ჩართულობას ართულებს.

> „აღმოჩნდა, რომ სატყეო სექტორი არის კაცის მიერ დომინირებული სექტორი (...) რაც, თავისთავად, არ იწვევდა ძალიან დიდ ინტერესს ქალების მხრიდან. (...), ამ სტრატეგიულმა დაგეგმვამ ჩვენ დაგვანახა, რომ არ არის აუცილებელი ქალები შემოვიყვანოთ ძალით ოთახში, სადაც მიდის საუბარი ისეთ საკითხებზე, რომელიც ქალისთვის საინტერესო არ არის. მაგრამ არსებობს სფეროები, სადაც ქალები უკვე არიან, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს განათლების სფერო. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ განსაკუთრებული აქცენტი (...) გაგვეკეთებინა სკოლებზე იმიტომ, რომ სკოლებში მასწავლებლების დიდი ნაწილი არის ქალი“ (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, გარემოსდაცვითი საკითხების ქალების მიერ დომინირებულ სივრცეებამდე მიტანა, ამ ეტაპზე, იყოს ეფექტიანი, რაც შემდგომ მათი ჩართულობისა და მონაწილეობის გაზრდასაც გამოიწვევს, თავის მხრივ.

1.3 გარემოს საკითხების ინტეგრაცია გენდერულ პროექტებში

ისევე, როგორც გარემოსდაცვით სახელმწიფო პოლიტიკაში გატარებული არ არის გენდერული საკითხები, გენდერული თანასწორობის პოლიტიკაშიც არ არის კავშირი გარემოსდაცვით საკითხებთან. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის გარემოს საკითხები ინტერესის საგანს ნაკლებად წარმოადგენს. მართალია, ამ ორ თემას

შორის გადაკვეთის წერტილები (იხ. თანამშრომლობის ქვეთავი) ვლინდება, მაგრამ გარემოს დაცვა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე აქტორების დღის წესრიგის ნაწილი არ არის.

ამის ძირითად მიზეზად, გარემოს დაცვით საკითხებზე მომუშავე უწყებების მსგავსად, თემის სიახლე და გამოცდილების ნაკლებობა სახელდება. გარდა ამისა, რესპონდენტები საუბრობენ **„უფრო სასწრაფო“** თემებზე (მაგალითად, ფემიციდი, ქალთა მიმართ ძალადობა), რომლებიც მათი მხრიდან დაუყოვნებელ ქმედებას ითხოვს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი საკითხების მეინსტრიმინგი გენდერულ მიმართულებაში აქტუალური ჯერჯერობით არ არის და უფრო მეტ ყურადღებას სხვა საკითხები იპყრობს.

1.4 საერთაშორისო დონორების გავლენა გარემოსდაცვით პროგრამებში გენდერულ მეინსტრიმინგზე

ინტერვიუების შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ ის პროექტები, სადაც გენდერული საკითხების გათვალისწინება ხდება, ძირითადად, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გავლენით არის გამოწვეული. აღნიშნულ საკითხზე ცენტრალურ დონეზე საუბრობენ როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავარობო ორგანიზაციები, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებს აღნიშნული საკითხები მეტად აქვთ ინტერნალიზებული და **საერთაშორისო მოთხოვნების გავლენა სახელმწიფო სექტორში უფრო მეტად იგრძნობა.**

> „საერთაშორისო პროექტი როცა უმტკიცდება ქვეყანას, პროექტს ყოველთვის აქვს ქვეთავი, სადაც არის მიმოხილული გენდერული საკითხი“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

> „გარემოს დაცვაში, ძირითადად, თანხები მოდის საერთაშორისო დონორებისგან. საერთაშორისო დონო-

რებს აქვთ თავიანთი სტანდარტი და მოთხოვნები. და გენდერი, ხშირ შემთხვევაში, როგორც ცივილიზაცია, შემოდის ამ მოთხოვნებიდან და, აი, ამ სტანდარტებიდან“ (საერთშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია).

„საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად დონორი ორგანიზაციები რომ ავიღოთ, იქ არის პირდაპირი მოთხოვნები, რომ გენდერული საკითხი უნდა იყოს გათვალისწინებული“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

თუმცა, სირთულეები ამ კუთხითაც არსებობს და **ჩართული მხარეებისთვის** ისევე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის შემთხვევაში, **დონორების მიერ გაწერილი პოლიტიკის ქმედებაში განხორციელებაც რთულია.**

„ისინიც [საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები] შემოიფარგლებიან ზოგადი ფრაზეოლოგიით და არ აკონკრეტებენ, რას გულისხმობენ, როგორ და რანაირად“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება, დავასკვნათ, რომ გარემოსა და გენდერის კვეთა, ძირითადად, „ზევიდან“ წამოსული თემებია. ამ საკითხების შესახებ, რესპონდენტების უმეტესობას შორის, ინფორმაცია ცოდნის დონეზე არსებობს, თუმცა იგი ღირებულებით დონეზე ინტერნალიზებული არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უფრო სიღრმისეული ინფორმაცია გენდერული საკითხების მეინსტრიმინგზე. რესპონდენტების უმეტესობა ვერ ხედავს, როგორ შეიძლება ამ ორი თემის კვეთა, მაგრამ მათი მხრიდან არის მზაობა, რომ მეტი ინფორმაცია მიიღონ და უნარები გაიუმჯობესონ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, დეტალური სამოქმედო გეგმების არსებობა, რომელიც ჩართულ მხარეებს სახელმწიფო და დონორების პოლიტიკის დონეზე არსებული მოთხოვნების განხორციელებაში დაეხმარება.

1.5 თანამშრომლობა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ **რესპონდენტები გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე მხარეებს შორის არსებულ თანამშრომლობას ძალიან პოზიტიურად ახასიათებენ.** თანამშრომლობა ხდება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებსა და დონორი/საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ასევე, ცენტრალურ და რეგიონულ ორგანიზაციებს შორის.

რამდენადაც წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა გარემოს საკითხებზე მომუშავე ჩართულ მხარეებს შორის, იმდენად **სუსტია კავშირი გარემოს დაცვის და გენდერის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს შორის.**

იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე სახელმწიფო უწყებას ჰყავს გარემოსა და გენდერზე მომუშავე კადრები ან დეპარტამენტები, მათ შორის თანამშრომლობა და პროექტებზე ერთობლივად მუშაობა, ძირითად შემთხვევაში, არ ხდება. მაგალითად, კვლევის ფარგლებში შერჩეულ სამიზნე მუნიციპალიტეტებში წარმოდგენილია სხვადასხვა უწყება, რომელიც გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. ასეთებია გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების კომისია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახური და ინფრასტრუქტურული სამსახური ქედის მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, თითოეულ მუნიციპალიტეტში შექმნილია ქალთა ოთახები, რომლებიც გენდერულ საკითხებზე მუშაობენ, თუმცა, რესპონდეტების თქმით, ამ დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობა და საკითხებზე ერთობლივი მუშაობა არ ხდება. ქალთა ოთახის წარმომადგენლების მიხედვით, ჯერ-ჯერობით ეს მუნიციპალური სერვისიც თავისთავად ახალია, ამიტომ კონცენტრირება სპეციფიკურად გენდერის საკითხებზე ხდება და სხვა თემების მოცვა ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება.

რესპონდენტების თქმით, გარემოსა და გენდერის საკითხებზე ერთობლივი მუშაობა სტრატეგიის დონეზე არ ხდება, თუმცა იგულისხმება, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ

უნდა ითანამშრომლონ. მაგალითად, სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიხედვით, მსგავსი თანამშრომლობა წარმატებით შედგა 13 ივნისის წყალდიდობის დროს, როდესაც დაზარალებულების სქესიდან გამომდინარე მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება იყო საჭირო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედეგების მიხედვით, ამგვარი თანამშრომლობის შემთხვევები ნაკლებად ფიქსირდება და რესპონდენტებიც ამის საჭიროებას ნაკლებად ხედავენ პრაქტიკაში.

რაც შეეხება გარემოსდაცვით და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები გენდერის სფეროს წარმომადგენლებთან თანამშრომლობის აუცილებლობას ნაკლებად ხედავენ. მიუხედავად ამისა, არის რამდენიმე გამონაკლისი საერთაშორისო ორგანიზაციების სახით, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სურთ და ისურვებდნენ, რომ ეს ორგანიზაციები მეტად იყვნენ დანტერესებული გარემოს თემატიკით.

„ჩვენ ვცდილობთ თანამშრომლობას გენდერულ ორგანიზაციებთანაც, რომლებსაც აქვთ მეტი გამოცდილება ამ მიმართულებით და გვგონია, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მათთან თანამშრომლობით უფრო მეტ შედეგს მივიღებთ, და ვისურვებდი რომ გენდერულმა ორგანიზაციებმაც სცადონ გარემოს დაცვით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მხოლოდ გენდერი არ არის გარემოსთვის მნიშვნელოვანი, გარემოც მნიშვნელოვანია გენდერისთვის“ (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია).

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან მხოლოდ ერთი ორგანიზაცია ასახელებს, რომ ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ.

რესპონდენტები საუბრობენ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაუმჯობე-

სების გზებზეც, კერძოდ, საერთო პლატფორმის შექმნაზე, სადაც ორგანიზაციები შეძლებენ, ერთმანეთის საქმიანობის მიმდინარეობას ადევნონ თვალყური. რესპონდენტების აზრით, მსგავსი გაზიარებული სივრცის არსებობა კომუნიკაციას გააუმჯობესებს და უფრო ეფექტიანს გახდის პრობლემურ საკითხზე მუშაობას.

„თემატური, მიზნობრივი დიალოგისა და თანამშრომლობის მეტი პლატფორმა და მეტი სინერგია გვჭირდება. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებლობები არ არის გამოყენებული და შეიძლება ამის უკეთესად გამოყენება“ (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი და გენდერული საკითხების ურთიერთკვეთა ჩართული მხარეებისთვის შედარებით სიახლეს წარმოადგენს. თემის სიახლე, ინფორმაციის ნაკლებობა და გენდერულად ნეიტრალური ან დისკრიმინაციული დამოკიდებულებები გარემოსდაცვით პროექტებში გენდერულ მეინსტრიმინგს აფერხებს. თემის ნაკლებ პრიორიტეტულობა კი სახელდება როგორც შემაფერხებელი ფაქტორი გენდერულ პროექტებში გარემოსდაცვითი საკითხების გატარებისას. გარემოსდაცვით საკითხებში გენდერული მეინსტრიმინგისას დონორების გავლენა იგრძნობა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ჩართული მხარეებისთვის რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს დონორების პოლიტიკა ქმედებაში. გარემოსდაცვით სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა წარმატებულია, გარემოსდაცვით და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანოებს შორის კი ურთიერთობა პრაქტიკულად არ არსებობს.

2. ბუნებრივი კატასტროფების გავლენა ქალებსა და კაცებზე და თემის ჩართულობა გარემოსდაცვით საკითხებზე

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია კვლევის სამიზნე ლოკაციებზე თემის წევრების შეხედულებები გენდერისა და გარემოს ურთიერთმიმართებაზე. კერძოდ, განხილულია, თუ როგორ აისახება გარემოში მიმდინარე პროცესები და ცვლილებები ქალების ყოველდღიურობაზე; ასევე, ვინ აღიქმება ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, როგორია ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებზე და ქალებისა და კაცების ჩართულობა ამ სფეროში. ამავე ქვეთავში მოცემულია, ზოგადად, საზოგადოების წევრებისა და კერძოდ, თემაში ჩართული მხარეების შეხედულებები და პერსპექტივები.

2.1 გარემოში მიმდინარე ცვლილებების გავლენა ქალების ყოველდღიურ საქმიანობაზე

ბუნებრივი კატასტროფები განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებზე[2]. იქიდან გამომდინარე, რომ ქალებსა და კაცებს განსხვავებული როლები აქვთ კულტურაში და განსხვავებული ფუნქციების შესრულება უწევთ, ისეთი ბუნებრივი კატასტროფები, როგორიცაა გაუდაბნოება, ტყის ხანძარი, თუ სხვა, მათ ყოველდღიურობაზე[2] განსხვავებულად ზემოქმედებს. საქართველოში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ გენდერული როლების განაწილება ტრადიციულია, რაც ნიშნავს, რომ საოჯახო საქმეების კეთება ქალების ფუნქციად ითვლება, ხოლო კაცები ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაზე არიან პასუხისმგებელნი[3]. შესაბამისად, საზოგადოებრივი სივრცე - მამაკაცის, ხოლო სახლი ქალის სივრცედ არის აღქმული.

[2] დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://www.fao.org/wairdocs/x5309e/x5309e0b.htm.

[3] კვლევა ხელმისაწვდომია http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_%20Research_ENG.pdf

მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული გენდერული წესრიგი ქალების როლს, ძირითადად, კერძო სფეროთი და ოჯახით შემოსაზღვრავს, საქართველოში ქალების 30% ძირითადი შემომტანია[3] ოჯახში. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიხედვითაც ჩანს, რომ ქალებისა და კაცების სამუშაოს შორის განსხვავება აღარ არის - ისინი თანაბრად არიან დასაქმებული და სამეურნეო სამუშაოებსაც თანაბრად ინაწილებენ, რასაც რესპონდენტები პოზიტიურად აღიქვამენ. უფრო მეტიც, კვლევის ლოკაციებზე, დასაქმების ძირითადი ადგილები არის სკოლა და საბავშვო ბაღები, სადაც სწორედ ქალები არიან წარმოდგენილნი, ამიტომ, შესაბამისად, ქალებისთვის მეტი შესაძლებლობაა სახლს გარეთ მუშაობის.

> „მე, მაგალითად, ჩემი და ჩემი მეუღლის საქმიანობაში განსხვავებას ვერ ვხედავ ყოველდღიურობაში. ორივე გამოვდივართ დილით ერთად სახლიდან. ორივე დღის ბოლომდე ვმუშაობთ და ვბრუნდებით ერთად ოჯახში“ (ფოკუს ჯგუფი, ქალები).

თუმცა, **საქმიანობის თანაბარი განაწილება ეხება გარეთ მუშაობას და არა შინ შრომას.** მაშინაც კი, როდესაც ქალი დასაქმებულია და გარეთ უწევს მუშაობა, სახლში საქმიანობა მაინც მის მოვალეობად რჩება.

> „ქალი ეხლა ოჯახში უფრო მეტს აკეთებს ვიდრე კაცი, ქურჭელს ვერ დაარეცხინებ [კაცს] ჩვენთან, არ არსებობს. და ბავშვების მომზადებაც ხო ქალზე გადადის“ (ფოკუს ჯგუფი, ქალები).

> „მაგალითად, ავიღოთ ბაღის თანამშრომელი, დილით, შვილები თუ ყავს, მოამზადებს ბაღისთვის, სკოლისთვის, გაუშვებს, რა თქმა უნდა, ასაუზმებს. თვითონ ემზადება მერე, საოჯახო საქმეებსაც [გააკეთებს], უცებ მიალაგ-მოალაგებს, რამდენსაც შეძლებს და რამდენსაც მოასწრებს. მერე მიდის სამსახურში. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ, ბრუნდება სახლში. ისევ სადილი, ისევ ვახშამი, ისევ შვილები და ეს ყოველდღიური რუტინაა“ (ფოკუს ჯგუფი, ქალები).

საოჯახო სივრცეზე მიჯაჭვულობა კი უფრო მოწყვ-

ლადს ხდის ქალებს კლიმატის ცვლილებითა და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ნეგატიური გავლენების მიმართ. გარემოში მიმდინარე ცვლილებებს, მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით გამოწვეულ პროცესებს, სპეციფიკური გავლენა აქვს ქალებზე და მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე.

„[ახალი გზის გაყვანის შემდეგ] გაჩნდა მტვერი გზაზე. ამან გამოიწვია ის, რომ მტვერი ბევრჯერ უნდა გადაწმინდო, ბავშვებში გამოიწვია რაღაც ტიპის დაავადებები. ბავშვი ექიმთან ვინ უნდა წაიყვანოს? ისევ, ქალმა. მერე გაიზარდა გზაზე მოძრაობა და ქალები დასდევდნენ ამ ბავშვებს, რომ სკოლაში მიეყვანათ და წამოეყვანათ“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე მხარეების ნაწილი - როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგნელები - ამ განსხვავებას აცნობიერებენ. თუმცა, რესპონდენტების მეორე ნაწილის ნარატივში გენდერულად ნეიტრალური მიდგომა ჭარბობს კვლავაც.

„ავიღოთ, მერიის სამსახური როდესაც აკეთებს მეწყერსაწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებებს, პირობითად, ვიღაცის სახლთან უნდა მოეწყოს ფერდსამაგრი, იქ, რა თქმა უნდა, დაცული არის ქალიც, კაციც, ბავშვიც“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

„მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფა მოხდა ხო? ის ზიანი და ზარალი რაც მივიღეთ, ქალისთვისაც ერთიანია და კაცისთვისაც“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

„ცოტა რთულია ბუნებრივი კატასტროფების გენდერულ ჭრილში განხილვა, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ეს ორივე სქესის წარმომადგენლისათვის ძალიან დამაზიანებელია“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის შეხედუ-

ლებებს, ქალებისა და კაცების ჯგუფებს შორის განსხვავებული ტენდენციები იკვეთება. კაცები მიიჩნევენ, რომ გარემოში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების გავლენა ქალებსა და მამაკაცებზე, ძირითადად, ერთნაირია მაშინ, როდესაც ქალების მიხედვით, ქალებს ეს გავლენა უფრო მძიმე ტვირთად აწვებათ. მაგალითისთვის მოჰყავთ ქარსაცავის გაჩეხვით გამოწვეული ქარები, რაც მოსავალს აფუჭებს. ამ შემთხვევაში, ქალებსაც და მამაკაცებსაც ორმაგი შრომა უწევთ, თუმცა ამის ატანა მამაკაცებთან შედარებით, ფიზიკურად, ქალებს უფრო მეტად უჭირთ.

> „ფიზიკურად რომ გადიან და მუშაობენ [ქალები], შემდეგ, თავისთავად, ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს, ცუდად ხდებიან. მაგალითად, ნაკვეთში რომ გავლენ და 30 ლარს აიღებენ, აქედან 20 ლარს წამლებში ხარჯავენ, რომ განიკურნონ“ (ფოკუს ჯგუფი, ქალები).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, ბოლო დროს განვითარებულმა ცვლილებებმა და გაუმჯობესებულმა ინფრასტრუქტურამ ქალთა შინ საქმიანობაზე პოზიტიურად იმოქმედა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიხედვით, გაზიფიცირებამ და სოფლებში წყლის მიყვანამ საგრძნობლად შეამსუბუქა ქალების საოჯახო საქმიანობა.

აქვე აუცილებელია, აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალები გარემოში მიმდინარე პროცესების გავლენას აცნობიერებენ მათ ყოველდღიურობაზე, ისინი ამას ნორმად აღიქვამენ და, როგორც წესი, ამ საკითხების მუნიციპალურ დონეზე ადვოკატირებასა და წინ წამოწევას არ ცდილობენ. სწორედ, ამიტომ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის, რომ ასეთი საკითხები პოლიტიკის დონეზე იყოს განსაზღვრული და აღსრულებული.

2.2 გარემოში მიმდინარე ცვლილებების გავლენა მოწყვლად ჯგუფებზე

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, რესპონდენტების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ გარემოში მიმდინარე ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფები საზოგადოების

სხვადასხვა სეგმენტზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ისინი გამოყოფენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა: მაღალმთიან რეგიონებში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, სიღარიბის ზღვარს მიღმა და ეკონომიკურად გაჭირვებული პირები, მარტოდ მცხოვრები ადამიანები. რესპონდენტების თქმით, მაღალმთიანი და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადობას არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო შექმნილი პირობები განსაზღვრავს. ეკონომიკური საკითხები სახელდება როგორც მოწყვლადობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორი. მათივე თქმით, ეკონომიკურად ძლიერი ადამიანები ყოველთვის მეტად დაცულნი არიან.

> „სოციალურად დაბალ ფენაზე მეტად აისახება [ბუნებრივი კატასტროფები]. ვინც ეკონომიკურად უფრო ძლიერია, იმას შემოსავალი მეტი აქვს. ის, ასე თუ ისე უპირისპირებს ამ ყველაფერს თავის კომფორტულ გარემოს, გათბობაზეც ხელი მიუწვდება, რომ ბუნებივი აირი გამოიყენოს, კონდენცირების სისტემა, წყალიც ჰქონდეს მუდმივად, ჭა გააკეთოს და როგორღაც გაიუმჯობესოს პირობები. ხოლო ვინც უმუშევარია და უფრო დაბალ ფენას მიეკუთვნება, რა თქმა უნდა, ისინი უფრო მოწყვლადნი არიან“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქალების ეკონომიკური აქტივობა, ისევე როგორც მათი შრომითი ანაზღაურება, მამაკაცებთან შედარებით, დაბალია [4]. ეს ხაზს უსვამს ქალების უფრო მაღალ მოწყვლადობას გარემოში მიმდინარე ცვლილებების მიმართ. თუმცა, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის დისკუსიებში ეკონომიკური უთანასწორობის გენდერულ ჭრილში განხილვა არ ხდება.

დაბოლოს, რესპონდენტები მარტო მცხოვრებ ადამიანებზეც საუბრობენ. ამ შემთხვევაში ორი ქვეჯგუფი მოიაზრება: ხნიერი მარტოხელა ადამიანები, ვისთანაც ოჯახის წევრები აღარ ცხოვრობენ და მარტო მცხოვრები ქალები. რესპონდენტების თქმით, ამ ჯგუფებს ბუნებრივი კატასტროფების დროს განსაკუთრებით სჭირდებათ დახმარება. შესაბამისად, ამ კრიტერიუმის ფარგლებში გენდერული პერსპექტივა იკვეთება.

[4] კვლევა ხელმისაწვდომია http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/womens%20economic%20inactivity%20and%20inf%20employment%20georgiageo.pdf?la=ka&vs=3009.

„მარტო მცხოვრები ქალები ნამდვილად ყველაზე მოწყვლადები არიან. მარტო მცხოვრები ქალები ან ხანშიშესული ქალები, რომელთაც არ შეუძლიათ გარკვეული ტიპის ფიზიკური სამუშაოს შესრულება“ (არასამთავრობო ორგანიზაცია).

რომ შევაჯამოთ, **ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიხედვით, გარემოში მიმდინარე ცვლილებების მიმართ მოწყვლადობას განსაზღვრავს ტერიტორიული მიკუთვნებულობა, ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური კავშირები. საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვა კი მხოლოდ მესამე კრიტერიუმთან მიმართებაში ხდება.**

2.3 ქალების ჩართულობა გარემოცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

როგორც წინა ქვეთავში გამოიკვეთა, განსხვავებული როლებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ქალებსა და კაცებს განსხვავებული საჭიროებები უყალიბდებათ. ამიტომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ორივე სქესის წარმომადგენელი იყოს ჩართული. კვლევაში მონაწილე სახელმწიფო უწყების პირთა დაკვირვებით, ამგვარ **შეხვედრებში, ძირითადად, მამაკაცები მონაწილეობენ, რის გამოც ქალთა საჭიროებები ხშირად უგულებელყოფილია და მათი გათვალისწინება ვერ ხდება.**

> „როდესაც ვითხოვთ ინფორმაციას, რამდენი კაცი და რამდენი ქალი მონაწილეობდა სოფლის კრებებზე, ძირითადად, კაცები ჭარბობენ. აქ არის იმაზე საუბარი, თუ რამდენად ისმის ქალების ხმა და რამდენად იღებენ გადაწყვეტილებას და რამდენად ლობირებენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სპეციფიურად ქალთა საჭიროებებზე არის მორგებული“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

თემის წარმომადგენლების შეხედულებები ამ მხრივ იყოფა. კაცების თქმით, ქალები აქტიურად არიან ჩართული შეხვედრებში და, როგორც წესი, თანაბარი ოდენობით არიან

წარმოდგენილნი. ქალები კი მიიჩნევენ, რომ შეკრებებში, ძირითადად, კაცები მონაწილეობენ და ამას „ქართული მენტალიტეტით“ ხსნიან.

> „ქალებამდე არც მიიტანენ [მამაკაცები ინფორმაციას]. ქართული მენტალიტეტია“.

> „არც სცალიათ [ქალებს]. და თუ კაცებია იქ, ქართული მენტალიტეტია ის, რომ სადაც კაცია, ქალი იქ აღარ თვლის საჭიროდ, რომ წავიდეს (ფოკუს ჯგუფი, ქალები).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალების ჩართულობა ხშირად შეხვედრის თემატიკიდან გამომდინარეობს. იმ საკითხებში, რაც „ქალთა სფეროებს“ ეხება, ისინი მეტად არიან ჩართული.

> „ქალების ჩართულობა, აქტიურობა უფრო მეტი არის, როდესაც კონკრეტული პრობლემებია და ინდივიდუალურად ოჯახებს ექმნებათ პრობლემა. საზოგადო და უფრო მასშტაბურ გლობალურ [პრობლემაზე] - ერთი სოფლიდან მეორე სოფელთან დამაკავშირებელი გზა, მეწყერი - ასეთ შემთხვევაში უფრო ინერტულები არიან“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

შესაბამისად, აქაც თავს იჩენს „სფეროების“ ქალებისა და კაცების სივრცეებად გადანაწილება. თუმცა თემის წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ თემში, როგორც წესი, **ქალების „აქტიური“ წარმომადგენლები** არიან, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესებში აქტიურად მონაწილეობენ და აქტიურადვე ლობირებენ თავიანთ პოზიციას, ამიტომ თავიანთი აზრის „გატანას“ ხშირად მამაკაცებზე უფრო მეტადაც ახერხებენ.

> „ქალები უფრო ხმამაღლა საუბრობენ, პრობლემებს უფრო აჟღერებენ და უფრო აქტიურები არიან ამ კუთხით“ (რეგიონის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია).

2.4 ინფორმირებულობა გარემოსდაცვით საკითხებზე

თემის წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის დისკუსიები აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტებში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და კამპანიები გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ. მონაწილეთა ნაწილი იხსენებს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ, ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ პროექტებს. თუმცა, აღინიშნა, რომ აუცილებელია, გარემოსდაცვისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან თავდაცვის შესახებ ინფორმაცია უფრო ფართო მასებამდეც მივიდეს; ასევე, აუცილებელია, რომ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ თემში გავრცელდეს; დაბოლოს, ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფებისგან თავდაცვის შესახებ მიზანმიმართულად უნდა მიეწოდოს მოწყვლად ჯგუფებს.

რესპონდენტების თქმით, **საინფორმაციო შეხვედრების მიუხედავად, მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი მაინც არ მიუწვდება ინფორმაციაზე.** ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა კი რამდენიმე გარემოებით არის განპირობებული:

ა) საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობებით როგორ მოახდინონ ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია;

ბ) როგორ მოიქცნენ ბუნებრივი კატასტროფების დროს;

გ) თავად როგორ არ მიაყენონ ზიანი გარემოს.

> „მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ელემენტარულ დონეზე ნასწავლი, დავუშვათ, როგორ ჩააქროს ძალიან მარტივად ცეცხლი, როგორ აირიდოს თავიდან ცეცხლის გავრცელება, თხრილები როგორ უნდა გააკეთოს“ (ფოკუს ჯგუფი, კაცები).

ფოკუს ჯგუფების საფუძველზე ირკვევა, რომ **თემის მოსახლეობისთვის ბუნდოვანია ინფორმაცია მათი დასახლების მახლობლად აშენებული ჰესის გავლენაზე ბუნებასა**

და ადამიანებზე. ისინი გარკვეულ ცვლილებებს, გახშირებულ თავის ტკივილებსა თუ მოსავლის შემცირებას, სწორედ ჰესის მშენებლობას მიაწერენ. აუცილებელია, რომ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მოსახლეობას ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია, თუ რა ცვლილებები, შეიძლება, მოჰყვეს პროექტის განხორციელებას.

იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული ჯგუფები ბუნებრივი კატასტროფების მიმართ უფრო მოწყვლადნი არიან, აუცილებელია, **ცნობიერების ამაღლების კამპანიების დროს მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინება** და ამ სამიზნე ჯგუფებთან სპეციფიკურად მუშაობა, რათა მათ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში.

> „სხვადასხვა კატაკლიზმების დროს, ავიღოთ წყალმოვარდნები, მეწყერები, ხანძარი, ძირითადად, როცა ხდება 12:00-დან 18:00 საათამდე პერიოდში, სახლში მხოლოდ არიან ქალები, ბავშვები, მოხუცები ან საწოლს მიჯაჭვული მოხუცები თუკი შესაბამისი ცოდნა არ ექნება იმ სახლში მყოფ ადამიანს... არ იცის, როგორ მოიქცეს ამ დროს... უნდა იყოს ცნობიერების დონე ამაღლებული [რომ იცოდეს], თუ რა უნდა გააკეთოს, როგორ მოიქცეს, თუნდაც, პირველადი დახმარება როგორ უნდა გაუწიოს“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებისას კონკრეტული სამიზნე/მოწყვლადი ჯგუფების მოცვა და ინფორმაციის მიწოდებისას მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება.

2.5 ქალებისა და კაცების როლი გარემოს დაცვაში

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ასახელებენ გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც აქტუალურია მათ მუნიციპალიტეტებში და/ან რეგიონებში. ეს პრობლემებია:

- გაუდაბნოება;
- მეწყერი;
- წყლის პრობლემა;
- ტყეებისა და ქარსაცავების გაჩეხვა;
- ტყის ხანძარი და ხის დაავადება;
- ნაგავსაყრელების არარსებობა;
- ინფრასტრუქტურული პროექტები (ჰესების მშენებლობა).

რიგ შემთხვევებში, ბუნებრივი ცვლილებები საკუთრივ ადამიანების მიერ არის გამოწვეული. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, 90-იან წლებში ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა ტყეების გაჩეხვა, რაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. ამ პერიოდში გაიჩეხა ქარსაცავი ზოლებიც, რაც დღეს დიდ სირთულეებს უქმნის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ გაზიფიცირებიდან გამომდინარე, ახლა მსგავსი ინტენსივობით ტყის გაჩეხვა აღარ ხდება, თუმცა, ეს საკითხი, პრობლემად რჩება მაინც.

მეორე პრობლემა, რასაც რესპონდენტები მოსახლეობის დაუდევრობას მიაწერენ, არის ის, რომ ისინი არ იცავენ უსაფრთხოების წესებს მინდვრების გადაწვის დროს და ხანძრის გაჩენის საშიშროებას ქმნიან. დაბოლოს, რესპონდენტები საუბრობენ ნარჩენების მართვის საჭიროებაზეც, რათა არ დაბინძურდეს გარემო. ისინი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამენ გარემოს პოლიეთილენით დაბინძურების პრობლემის სიმწვავეს, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ ნაგავსაყრელების მოწესრიგებამ ეს საკითხი შედარებით მოაგვარა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ **ინფრასტრუქტურულმა განვითარებამ, გაზიფიცირებამ, ნაგავსაყრელების მოწესრიგებამ, საერთო ჯამში, დადებითად იმოქმედა საზოგადოების მხრიდან გარემოს დაცვაზე.** თუმცა,

ინფრასტრუქტურული განვითარების გარდა, ზემოთაღნიშნული საკითხები, ძირითადად, სამოქალაქო თვითშეგნებასა და აქტივიზმთან არის დაკავშირებული. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, მათი თემის წარმომადგენლების ნაწილი აცნობიერებს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვის კუთხით და ამ მიმართულებით შეაქვს საკუთარი წვლილი, მაგალითად: იჩენს ინიციატივას და ორგანიზებას უწევს გარემოს დასუფთავების აქციებს, თუმცა **თემის წარმომადგენლების სხვა ნაწილისათვის გარემოს საკითხები აქტუალური თემა არ არის, არ ინტერესდებიან და, შესაბამისად, ვერც თავიანთ როლსა და ფუნქციას ხედავენ ამ მიმართულებით.**

> „გზაზე გაივლი და ხედავ, რომ იმ ხეებზე პარკი, ბოთლი და რაღაცა... დავიწყეთ [პროექტი] „სუფთა გარემო ჩემს სოფელს“ და დავიწყეთ დასუფთავება. თოთხმეტი ქალი ვართ. მერე ამათაც დაიწყეს, მე ამას არ ავკრეფ, იმას არ ავკრეფ, ის თავისი ნაგვის ასაკრეფად არ გამოდისო“ (ფოკუს ჯგუფი, ქალები).

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თემის წევრებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგრძნება ამაღლდეს გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ.

კვლევის **შედეგების მიხედვით, გარემოსთვის ზიანის მიმყენებლად, ისევე როგორც მის დამცველად, ძირითადად, მოიაზრება როგორც ქალი, ისე კაცი და აქაც, ძირითადად, გენდერულად ნეიტრალური მიდგომაა.**

> „გარემოს დაბინძურებით გამოწვეული პრობლემატიკა ერთდროულად აზიანებს ქალსაც და კაცსაც, და ქალსაც და კაცსაც ერთდროულად მიუძღვის წვლილი მათ შორის პირიქით გარემოს დაბინძურების მიმართულებაში“ (სამთავრობო ორგანიზაცია).

თუმცა, რიგ შემთხვევაში, სქესის დაკონკრეტება და ქალებისთვის გასაკუთრებული პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება:

„ქალს განსაკუთრებულად დიდი როლის შესრულება შეუძლია იმიტომ, რომ ქალი არის მაინც აღმზრდელი და იგივე სკოლებშიც უფრო მეტად იგივე პედაგოგები ქალბატონები არიან და თუ კი მათი გარემოს დაცვითი ცნობიერება იქნება სათანადო დონეზე, შესაბამისად, ისინი მომავალ თაობას უფრო სხვანაირად გაზრდიან“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი).

ქალებისა და კაცების მიერ გარემოს დაბინძურებისა და მისი დაცვის მიმართულებით აზრთა სხვადასხვაობა იმაზე მიუთითებს, რომ ჩართული მხარეებისთვის სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება ამ კუთხითაც სასურველია.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სახლის საქმიანობაზე პასუხისმგებლობა ქალებს მეტად მოწყვლადს ხდის გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამის გააზრება კი, უმეტესწილად, არ ხდება არც ჩართული მხარეების და არც, საკუთრივ, თემის წარმომადგენელთა მიერ. მაღალმთიან რეგიონებში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ეკონომიკურად გაჭირვებულები და მარტოხელები ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად სახელდება. საინფორმაციო კამპანიების მიუხედავად, თემის წარმომადგენლები დამატებით ინფორმაციას საჭიროებენ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და ამ ცვლილებებში საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გადააზრებისათვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. გარემოსდაცვითი და გენდერის საკითხების ურთიერთკვეთა ახალი სფეროა როგორც გარემოსდაცვაზე, ასევე გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე აქტორებისათვის. მათ ამ თემებზე და პრაქტიკაში განხორციელებაზე საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ. გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე მხარეებს შორის გენდერული სენსიტიურობაც დაბალია, ამიტომ, მნიშვნელოვანია, შემდეგი მიმართულებებით მუშაობა:

   - ➡ ჩართული მხარეებისთვის გენდერულ მეინსტრიმინგზე სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდოება: რას გულისხმობს და რას მოიცავს იგი?
   - ➡ დამოკიდებულებების ცვლილება - რატომ არის გენდერული მეინსტრიმინგის გატარება მნიშვნელოვანი?
   - ➡ ტექნიკური უნარების გაუმჯობესება - როგორ უნდა მოხდეს გენდერული მეინსტრიმინგი პოლიტიკისა და პროექტების განხორციელების დონეზე.

2. ჩართულ მხარეებში, ისევე როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, გენდერულად ნეიტრალური პოზიციები ხშირია. მნიშვნელოვანია, რომ გენდერულ საკითხებზე მომუშავე მხარეებმა გენდერულად მგრძნობიარე დისკურსის გავრცელებაზე მეტად გააკეთონ აქცენტი.

3. გარემოსდაცვითი და გენდერული საკითხების კვეთის პოლიტიკიდან პრაქტიკაში გადმოტანა სირთულეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, დეტალური სამოქმედო გეგმების შემუშავება როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე საერთაშორისო დონორების დონეზე.

4. გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა წარმატებულია, თუმცა თავად რესპონდენტების რეკომენდაციით, სასურველია საერთო პლატფორმის შექმნა, სადაც უკეთ გამოჩნდება თითოეული აქტორის კონკრეტული საქმიანობა და, შესაბამისად, უკეთ

გამოიკვეთება თანამშრომლობისა და საქმიანობების გადაკვეთის შესაძლებლობები.

5. მნიშვნელოვანია, თანამშრომლობის განვითარება გარემოსდაცვით და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ორგანიზაციებსა და უწყებებს შორის. შესაძლებელია, მრგვალი მაგიდის ორგანიზება, სადაც ორივე სფეროს წარმომადგენლები იქნებიან მოწვეულნი და შეიქმნება სივრცე დიალოგისა და დისკუსიისათვის.

6. საგანმანათლებლო აქტივობების მიუხედავად, თემის წარმომადგენლები ინფორმაციის ნაკლებობაზე საუბრობენ. მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვაზე ინფორმაციის უფრო ფართო მასებამდე მიტანა; აგრეთვე, მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინება და მათთვის ინფორმაციის შესაბამისი სახით მიწოდება. თემის წარმომადგენლებში გარემოსდაცვით საკითხებზე სამოქალაქო პასუხისმგებლობა შედარებით ნაკლებია. მნიშვნელოვანია, რომ თემის წევრებმა გააცნობიერონ თავიანთი როლი როგორც გარემოს დაბინძურების, ასევე გარემოს დაცვის საკითხებზე.

დანართები

დანართი #1: კითხვები სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის

შესავალი და გაცნობა

1. გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი თავი (სახელი/გვარი, სამუშაო ადგილი და პოზიცია)
2. როდის დაიწყეთ გარემო/გენდერის საკითხებზე მუშაობა?
3. გთხოვთ, მოკლედ მიმოიხილოთ კონკრეტულად რა აქტივობებს ახორციელებთ გარემოს დაცვისა და გენდერის მიმართულებით ან რა საკითხებზე მუშაობთ?
4. ბოლო ერთი (სამი) წლის განმავლობაში გარემოსა და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ რა სახის აქტივობებში მიგიღიათ მონაწილეობა?
5. თუ ჰყავს თქვენს ორგანიზაციას გარემოსა და გენდერის სპეციალისტი? ცალ-ცალკეა თუ შეთავსებულია ეს ორი სფერო? თუ ცალ-ცალკე კადრია, როგორ ხდება მათ შორის თანამშრომლობა?

საჭიროების იდენტიფიცირება

6. გთხოვთ, გაგვიზიაროთ, რამდენად ხედავთ გარემოსა და გენდერის საკითხებს შორის ურთიერთკავშირს? რატომ?
7. თქვენი შეფასებით, რამდენად საჭიროა გენდერისა და გარემოს ურთიერთკვეთა პოლიტიკის დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში? რატომ?
8. თქვენს შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და გენდერულ საკითხებზე ინტეგრირებულად მუშაობთ თუ ცალ-ცალკე (ცალ-ცალკე პროექტები? დეპარტამენტები? კადრები?)? გთხოვთ, მოიყვანოთ გენდერისა და გარემოს საკითხებზე ინტერსექციურად მუშაობის მაგალითი.
9. თქვენს შემთხვევაში, გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებისას გენდერული საკითხების გათვალის-წინება ხდება? თუ კი, - როგორ?

გარემოს პოლიტიკისა და არსებული ვითარების შეფასება

10. როგორ შეაფასებთ არსებულ პოლიტიკას გარემოსა და

გენდერთნ მიმართებაში? რამდენად ხდება სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დაცვა, რომელთა მდგომარეობაც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად შეიცვალა? კონკრეტულად, ქალებზე რა გავლენა აქვს ბუნებრივ კატასტროფებს?

11. როგორ შეაფასებთ არსებულ ვითარებას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გარემოს დაცვის კუთხით განხორციელებულ პროექტებში გენდერული საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით?

12. როგორ შეაფასებთ არსებულ ვითარებას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გარემოს დაცვის კუთხით განხორციელებულ პროექტებში გენდერული საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით?

13. როგორ შეაფასებთ არსებულ ვითარებას ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გარემოს დაცვის კუთხით განხორციელებულ პროექტებში გენდერული საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით?

14. ზოგადად რომ შეაფასოთ, თქვენი აზრით, უნდა ხდებოდეს თუ არა გენდერის საკითხების გათვალისწინება გარემოსდაცვის პოლიტიკის შემუშავებისას? / გარემოსდაცვის პროექტების განხორცილებისას? თუ კი, რატომ? თუ არა, - რატომ?

15. თქვენი აზრით, კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ამ ორი სფეროს ურთიერთკვეთა? თქვენ მიერ განხორციელებულ პროექტებში როგორ გააკეთებდით ამას?

პარტნიორობა და თანამშრომლობა

16. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი ორგანიზაციის პარტნიორები გენდერსა და გარემოზე მუშაობის კუთხით: დონორები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები

17. როგორ შეაფასებთ ამ თემებზე მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლობის ეფექტურობას? რა სახის გამოწვევების წინაშე დგანან ორგანიზაციები?

18. ამ ეტაპზე რა სახის თანამშრომლობის საჭიროება გაქვთ?

ბუნებრივი კატასტროფების გავლენა ქალებზე

19. თქვენი აზრით, რომელი სეგმენტია ყველაზე მოწყვლადი? ვინ ზარალდება ყველაზე მეტად? რატომ?

დამატებითი კომენტარები

20. გთხოვთ, გაგვიზიაროთ სხვა ორგანიზაცია/ინდივიდი, რომელიც ამ საკითხებზე მოგვაწვდის ინფორმაციას

21. დამატებით რამე კომენტარი ხომ არ გაქვთ?

დამატებითი კითხვები სამთავრობო სექტორისათვის

1. თუ არის ასახული გენდერისა და გარემოს ურთიერთ-კავშირი თქვენს სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის ბიუჯეტში, და თუ გაქვთ სამოქმედო გეგმა, რომელიც ამ ორ საკითხზე აკეთებს აქცენტს? თუ არა - რატომ?

დამატებითი კითხვები დონორი ორგანიზაციებისათვის

1. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც თქვენი ორ-განიზაციის მხრიდან პროექტების/პროგრამების დაფი-ნანსებას განსაზღვრავს.

2. თუ შედის გენდერი და გარემო ამ პრიორიტეტულ მიმართულებებში და, კონკრეტულად, რომელ დოკუმენ-ტებშია ასახული ეს მიმართულებები?

3. გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის პრიორიტეტული მიმარ-თულებები (გენდერი და გარემო), რის მხარდაჭერასაც ახორციელებთ და/ან მომავალში განახორციელებთ (რეგიონების გათვალისწინებით) ადგილობრივი ორგანი-ზაციების/მთავრობის მხარდაჭერით?

დამატებითი კითხვები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანი-ზაციებისათვის

1. რამდენად არიან ქალები ჩართული ადგილობრივ დო-ნეზე გარემოს, გენდერის შესახებ პოლიტიკის, პრო-ექტების (განსაკუთრებით კი ინფრასტურქტურული და ენერგეტიკული), აქტივობების (მათ შორის ბიუჯეტირების) განხილვაში? რატომ?

2. თქვენი შეფასებით, პოლიტიკის დონეზე ქალების ნაკ-ლებმა ჩართულობამ რა ბარიერები შეიძლება გა-მოიწვიოს?

3. თქვენი შეფასებით, რამდენად განსხვავებულად აისახება ქალებსა და კაცებზე ბუნებრივი კატასტროფების დროს მიყენებული ზიანი?

- როცა შინამეურნეობის უფროსი ქალია?
- როცა ქალი ქვრივია და ა.შ.?
- რამდენად ხდება მათი შრომითი მოვალეობების გაზრდა?
- სოციალური სტატუსი და გენდერული როლები?

4. თუ არის განსხვავებული ქცევები ქალებსა და კაცებს შორის ბუნებრივი კატასტროფების მართვის ან გარემოს დაცვის კუთხით?
    - რამდენად აქვთ ქალებს უნარები, რომელიც მათ ზარალის აღდგენაში ეხმარება?
    - თქვენი მხრიდან თუ ხდება განსხვავებული საჭიროებების ასახვა მიმდინარე პროექტებსა თუ პროგრამებში? რა სახით?

დანართი #2: კითხვები თემის წარმომადგენლებისთვის (ქალები და კაცები)

მოდერატორი ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს გააცნობს კვლევის მიზნებს, ინფორმაციას მიაწვდის კვლევის ეთიკის შესახებ და მიიღებს ვერბალურ თანხმობას კვლევაში მონაწილეობისა და დისკუსიის დიქტოფონით ჩანაწერის გაკეთებაზე

დემოგრაფიული ბლოკი

1. სახელი
2. ასაკი
3. საცხოვრებელი ადგილი (სოფლის/ქალაქის დასახელება)
4. დასაქმების სტატუსი
5. ქორწინების სტატუსი

შესავალი

6. გთხოვთ, აღწეროთ თქვენს სოფელში მცხოვრები ქალის ყოველდღიური ცხოვრება (შეგვიძლია ჩავშალოთ ასაკის, დასაქმების მიხედვით);
7. გთხოვთ აღწეროთ თქვენს სოფელში მცხოვრები კაცის ყოველდღიური ცხოვრება (შეგვიძლია ჩავშალოთ ასაკის, დასაქმების მიხედვით);

8. თქვენ მიერ აღწერილ ქალისა და კაცის ყოველდღიურ ცხოვრებაში რა განსხვავებებს გამოყოფდით და რითი არის ეს გამოწვეული? (მოდერატორს: თუ ჯგუფმა არ დაასახელა გარემო, გთხოვთ, ჩაეკითხოთ);

ბუნებრივი კატასტროფების გავლენა ქალებზე

9. გთხოვთ, გაიხსენოთ ბუნებრივი კატასტროფები, რაც ბოლო ერთი (ხუთი) წლის მანძილზე მოხდა თქვენს რეგიონში;

10. თქვენს მუნიციპალიტეტში ბოლო დროს ხშირია ბუნებრივი კატასტროფები (მოდერატორს: იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა ვერ მოახერხა ბუნებრივი კატასტროფების ჩამოთვლა პირველ კითხვაში, დაუზუსტეთ რეგიონის მიხედვით: ბორჯომი - ტყის მენეჯმენტი/ხანძარი; ქედა - ეკომიგრაცია, ჰესების მშენებლობა; დედოფლისწყარო - გაუდაბნოება, წყლის ნაკლებობა)? გთხოვთ, აღწეროთ ამ პროცესებმა რაიმე ცვლილება თუ მოიტანა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და თუ კი - როგორი?

11. იყო თუ არა პოზიტიური ცვლილება? გთხოვთ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. როგორ აისახა ეს პოზიტიური ცვლილება თქვენს ყოველდღიურობაზე? (მსგავსი ცვლილება მამაკაცების/ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მოხდა?)

12. მოგადგათ თუ არა რაიმე სახის ზარალი? გთხოვთ, მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითი.

13. მოგადგათ თუ არა რაიმე სახის ეკონომიკური ზარალი? რაში გამოიხატა?

14. შეიცვალა თუ არა თქვენი სამუშაო დატვირთვა (workload)? რაში გამოიხატა?

15. როგორ გაუმკლავდით ზევით აღნიშნულ ზარალს/პრობლემას?

16. თუ მიიღეთ რაიმე სახის მხარდაჭერა? ვისი მხრიდან და რა სახის?

17. კონკრეტულად რომელი ჯგუფი უფრო დაზარალდა მიღებული ზიანით და როგორ? ქალები/კაცები/ბავშვები/მოხუცები/შშმ პირები? გთხოვთ, დააკონკრეტოთ;

18. ზოგადად, ბუნებრივი კატასტროფის დროს, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელი ჯგუფი ზარალდება?

ქალები/კაცები/ბავშვები/მოხუცები/შშმ პირები?

19. ზოგადად, რა ცვლილებებს ამჩნევთ თქვენს თემში, საზოგადოებაში, აღნიშნული პროცესების გამო? (მოდერატორს: შეეცადეთ, მათი პირადი მაგალითიდან სათემო შეფასებაზე გააკეთებინოთ აქცენტი);

20. თქვენი შეფასებით, ზოგადად, რა შედეგებს იწვევს გარემო პირობებით გამოწვეული ცვლილებები ქალებზე? კაცებზე? (ჩაეკითხეთ მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, სოციალურ სტატუსზე, გენდერულ როლებზე და სხვა)

ქალების და კაცების ჩართულობა გარემოს დაცვის პროცესებში

21. თქვენი აზრით, ვინ არის პასუხისმგებელი გარემოს დაცვაზე?

22. რა არის ქალების როლი? კაცების? თქვენი აზრით, ქალების როლი უფრო მნიშვნელოვანია თუ კაცების? რატომ? (მოდერატორს: აქ რა როლებსაც ჩამოთვლიან უშუალოდ ფოკუს ჯგუფის დროს, შემდეგ კითხვაში მათზე უნდა გეკეთდეს აქცენტი)

23. თქვენი აზრით, ვინ უფრო მეტად ზარალდება ბუნებრივი კატასტროფებით - ქალი თუ კაცი?

24. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცეთ ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში?

25. როგორ უნდა შეამციროს მოსახლეობამ რისკი, რომ აღნიშნული კატასტროფა თავიდან აირიდოს? (მაგალითად მოუყვანეთ რეგიონის შესაბამისი ბუნებრივი კატასტროფა);

26. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, როგორ უნდა იმოქმედოთ, რომ დაიცვათ გარემო? (დავუკონკრეტოთ ჯგუფს: ხანძრის შემთხვევაში (ბორჯომი)? მიწის გაუდაბნოების შემთხვევაში (დედოფლისწყარო)? მეწყერის, მიწის დეგრადაციის შემთხვევაში (აჭარა)?)

27. თქვენ, პირადად, რას აკეთებთ გარემოს დაცვის კუთხით? გთხოვთ, მოიყვანოთ მაგალითები (მოდერატორს: თუ პირად მაგალითს ვერ გაიხსენებენ, ვკითხოთ თემზე);

28. გარემოს დაცვისას რა სირთულეებს ხვდებით და როგორ ახერხებთ მათ გადალახვას?

29. რამდენად ერთვებიან თქვენი თემის წარმომადგენელი

ქალები/კაცები გარამოსდაცვის კუთხით მიღებულ გადაწყვეტილებაში? მაგ. როდესაც მუნციპალიტეტი გეგმავს სხვადასხვა პროექტებს გარემოსდაცვის მიმართულებით (ან ინფრასტრუქტურის პროექტებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვს თქვენს საცხოვრებელ გარემოზე), თქვენ თუ იღებთ გადაწყვეტილებაში მონაწილეობას? თუ კი, - როგორ?

30. თუ დასწრებიხართ ადგილობრივი ან არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებს თქვენს თემში გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების თაობაზე? თუ, კი - გთხოვთ, გაგვიზიაროთ გამოცდილება. ზოგადად, ვინ ესწრება ხოლმე მსგავს შეხვედრებს?

კომენტარი

31. რამის დამატება ხომ არ გსურთ?

გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და ქალთა უფლებების თანაკვეთის სიტუაციური კვლევის პირველი ნაწილი ჩატარდა პროექტის „გლობალური ალიანსი მწვანე და გენდერული ქმედებისათვის“ (GAGGA) ფარგლებში, ხოლო მეორე ნაწილი გერმანული ქალთა ფონდის filia.die frauenstiftung მხარდაჭერით. ინიციატივას „ქალთა ფონდი საქართველოში“ უკვე რამოდენიმე წელია ახორციელებს. გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და გენდერული თანასწორობის თანაკვეთის კვლევა პირველ მცდელობას წარმოადგენს, რომელზე დაყრდნობითაც, სამომავლოდ, უფრო ვიწრო მიზნის მქონე კვლევების დაგეგმვა და განხორციელება გახდება შესაძლებელი.